

**შპს თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის  
აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების დებულება**

წინამდებარე დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის დებულების საფუძველზე განსაზღვრავს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.

**მუხლი 1. აკადემიური თანამდებობები**

1. აკადემიურ თანამდებობებს მიეკუთვნება: პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობები.
2. პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
3. ასოცირებული პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
5. ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

**მუხლი 2. აკადემიური პერსონალის მოვალეობები:**

**1. პროფესორს უნდა შეეძლოს:**

- ძირითად საგანში (საგნებში) ლექციების წაკითხვა და აკადემიური პერსონალისათვის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პედაგოგიური (საათობრივი) დატვირთვის ზღვრული ოდენობის შესრულება;
- საგანმანათლებლო მიმართულების ძირითად საგნებში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ასახვა და შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა, დამუშავება და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- შეფასების სისტემის დამუშავება და სხვა ისეთი მიმართულებით მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულებაში მომზადებულ სპეციალისტთა მაღალ კვალიფიკაციას;
- სტუდენტური კონფერენციებისათვის სამეცნიერო თემების ხელმძღვანელობა;
- პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა ბაკალავრიატში.

**2. ასოცირებულ პროფესორს უნდა შეეძლოს:**

- ძირითად საგანში (საგნებში) ლექციების წაკითხვა და აკადემიური პერსონალისათვის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პედაგოგიური (საათობრივი) დატვირთვის ზღვრული ოდენობის შესრულება;
- საგანმანათლებლო მიმართულების ძირითად საგნებში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ასახვა და შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა, დამუშავება და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- შეფასების სისტემის დამუშავება და სხვა ისეთი მიმართულებით მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულებაში მომზადებულ სპეციალისტთა მაღალ კვალიფიკაციას;
- პრაქტიკის ხელმძღვანელობა;
- სტუდენტური კონფერენციებისათვის სამეცნიერო თემების ხელმძღვანელობა.

### **3. ასისტენტ-პროფესორს უნდა შეეძლოს:**

- ბაკალავრიატის აკადემიური ჯგუფების კონსულტირება;
- ბაკალავრებისათვის სამუშაო ჯგუფში (პრაქტიკული, ლაბორატორიული და სემინარული) მეცადინეობების ჩატარება და აკადემიური პერსონალისათვის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პედაგოგიური (საათობრივი) დატვირთვის ზღვრული ოდენობის შესრულება;
- პრაქტიკის ხელმძღვანელობა.

### **4. ასისტენტს უნდა შეეძლოს:**

- სასემინარო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება და კონსულტირება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
- პროფესორის ხელმძღვანელობით და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება.

### **მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების და კონკურსის გამოცხადების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების რექტორის ბრძანებით.
3. ღია კონკურსის პრინციპებიდან გამომდინარე, საჯარო გაცნობისათვის, განცხადება უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე;
4. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი;
5. ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა დადებით ხმების უმრავლესობას;

6. თუ რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ შემოვიდა განაცხადები, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ადგილები, რჩება ვაკანსია, რომელზეც განმეორებით კონკურსის გამოცხადებას განსაზღვრავს რექტორი;
7. დაუშვებელია ერთ პოზიციაზე შემოტანილი განცხადების განხილვა მეორე პოზიციაზე.

#### **მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
4. ასისტენტის თანამდებობაზე განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი;
5. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 4 წლის ვადით; ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აირჩევა 3 წლის ვადით.

#### **მუხლი 5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები**

აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით დაჯამებული ქულათა მაქსიმალური 20 და მინიმალური 10 რაოდენობით:

2. პედაგოგიური გამოცდილება 3;
3. სამეცნიერო გამოცდილება 3
4. სილაბუსი/სილაბუსები, რომლებიც ფასდება შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით 4
5. პუბლიკაციები:
  - ა) სახელმძღვანელო - 2 ქულა
  - გ) მონოგრაფია - 2 ქულა
  - დ) მონოგრაფია თანაავტორობით - 2 ქულა
  - ე) საერთო, ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები (მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე) - 2 ქულა
  - ვ) სტატია სხვადასხვა გამოცემებში (მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე) - 2 ქულა

#### **მუხლი 6. კონკურსის გამოცხადება**

1. კონკურსს აცხადებს აკადემიის რექტორი;
2. კონკურსის ჩატარების თარიღს და ვადებს ამტკიცებს რექტორი;
3. კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებამდე რექტორის ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო და სააპელაციო კომისიები;
4. კონკურსის პირობები, აგრეთვე, კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა რეგულირდება წინამდებარე დებულებით;

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით და ამ დებულების შესაბამისად დგება საჯარო განცხადება;
6. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების, კონკურსის ჩატარების, სააპელაციო განცხადებების მიღების და საბოლოო შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

### **მუხლი 7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის წესი**

1. კონკურსანტების განაცხადების მიღება ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვადების შესაბამისად, ყოველდღიურად 10-დან საათიდან 17 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეებისა;
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ორგანიზების უზრუნველყოფა ევალება კანცელარიისა და კადრების სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს: განცხადების გაცემას, კონკურსანტების მიერ განცხადების შეტანის პროცესის ორგანიზებას და მის რეგისტრაციას საკონკურსო მასალის შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც მიეთითება ძირითადი და თანდართული დოკუმენტაციების რაოდენობა და დასტურდება კონკურსანტის ხელმოწერით;
3. კონკურსანტთა განაცხადის დროის ამოწურვისთანავე, ბოლო საკონკურსო განცხადების შემდეგ კეთდება ჩანაწერი კონკურსში მონაწილე პირების საერთო რაოდენობის შესახებ, ჩანაწერს დაესძება დაწესებულების ბეჭედი და დასტურდება საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით;
4. საბუთების მიღების ვადის ამოწურვისთანავე, აღნიშნული მასალები მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა საკონკურსო კომისიას.

### **მუხლი 8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 1 ფოტო სურათი ზომით (3X4);
- უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- სადისერტაციო ნაშრომის დასახელება და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან ცნობა;
- სამეცნიერო კვლევების კონცეფცია (სავალდებულოა მხოლოდ პროფესორისთვის);
- მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი (ნაბეჭდი და ელ. ვერსია);
- სამოტივაციო წერილი.

### **მუხლი 9. საკონკურსო კომისიები**

1. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის დაცვის მიზნით დაწესებულების რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადებით იქმნება საკონკურსო და სააპელაციო კომისიები;
2. საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილ იქნეს ის პირები, რომლებიც გეგმავენ მონაწილეობას აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში;
3. საკონკურსო და სააპელაციო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს დაწესებულების რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;
4. საკონკურსო და სააპელაციო კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მოწვეული პირები;
5. კომისიის წევრთა რაოდენობა აუცილებლად უნდა იყოს კენტი, თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით;
6. საკონკურსო და სააპელაციო კომისიების უფლებამოსილება წყდება რექტორის მიერ კონკურსის საბოლოო შედეგების დამტკიცებისთანავე.

#### **მუხლი 10. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობები**

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:
  - ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;
  - ბ) აირჩიოს აკადემიური პერსონალი და დასამტკიცებლად წარუდგინოს რექტორს;
  - გ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით;
3. საკონკურსო კომისიას ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით და დადგენილი ვადების შესაბამისად ჩატარებაზე;
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
5. საკონკურსო კომისიის სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე;
6. საკონკურსო კომისიის მდივანი კოორდინაციას უწევს საკონკურსო კომისიის სამდივნოს მუშაობას, უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს, სხდომის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
7. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნეხევარზე მეტი;
8. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით;
9. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

10. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის აკადემიის ბიუჯეტიდან შეიძლება იღებდნენ ანაზღაურებას რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით;

11. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია, კონკურსის შედეგების გამოცხადების და მისი ძალაში შესვლის შემდეგ, გადაეცემა კანცელარიისა და კადრების სამსახურს დასაარქივებლად.

### **მუხლი 11. სააპელაციო კომისიის უფლება-მოვალეობები**

1. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია დააკვირდეს საკონკურსო კომისიის მუშაობას და განიხილოს მის მიერ დაშვებული საპროცედურო დარღვევები;
2. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს და შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება;
3. სააპელაციო კომისია ვალდებულია, განიხილოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს კონკურსანტის ან საკონკურსო კომისიის წევრის სააპელაციო განაცხადზე, სააპელაციო განცხადებების მიღების დასრულებიდან მეორე დღეს;
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება გაფორმებული სათანადო ოქმით, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რექტორს.

### **მუხლი 12. საკონკურსო კომისიის მუშაობის განრიგი**

1. საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს კონკურსანტების განაცხადების მიღების დასრულებიდან მეორე დღეს. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება ბრძანებით დამტკიცებული კომისიის ყველა წევრი;
2. პირველ სხდომას ხსნის დაწესებულების რექტორი. იგი აცნობს საკონკურსო კომისიის წევრებს დამტკიცებულ შემადგენლობას და ტოვებს სხდომას;
3. სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხს წარმოადგენს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არჩევა მათივე წევრებიდან. თავმჯდომარის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
4. კომისიის თავმჯდომარე არჩევს თანავე ასახელებს კომისიის მდივნის კანდიდატურას. მდივნის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა (თუ მდივნობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, სახელდება კომისიის სხვა წევრი);
5. კომისიის მდივანი არჩევს თანავე ადგენს სხდომის მიმდინარეობის ამსახველ ოქმს;
6. მდივანი ვალდებულია სხდომის მიმდინარეობის დროს შეადგინოს ოქმი, გააცნოს მისი შინაარსი სხდომის მონაწილეებს;
7. კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობებზე ტარდება ცალ-ცალკე. დაუშვებელია აკადემიური თანამდებობების ვაკანსიებზე სხვა აკადემიურ თანამდებობაზე მონაწილე კონკურსანტის გადაყვანა (გადანაწილება). შეუვსებელი ვაკანსიები შეიძლება დაკავებულ იქნას მხოლოდ განმეორებით გამოცხადებული ღია კონკურსის წესით;

8. კომისიის მუშაობის პროცესში თავმჯდომარე კომისიის წევრებს ავალებს მის მიერ გადანიჭილებული განაცხადებისა და თანდართული საბუთების განხილვას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების ჩამონათვალთან წარმოდგენილი საკონკურსო მასალების შესაბამისობის გარკვევის მიზნით. განაცხადების განხილვის შედეგები, კომისიის წევრთა კომენტარებით აისახება ოქმში;
9. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში უნდა აისახოს, თუ ვისი განაცხადები აკმაყოფილებს საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც შესაბამისი აკადემიური თანამდებობებისათვის არის განსაზღვრული. ოქმში ასევე უნდა აისახოს, თუ ვის და რატომ ეთქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე;
10. რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დღეს საკონკურსო კომისია განიხილავს კონკურსანტთა დოკუმენტაციას და აქვეყნებს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგებს (კონკურსში გასულ პირთა სიას);
11. კონკურსში გასულ პირთა სია შესაბამისი აკადემიური თანამდებობის მითითებით გამოიკვრება დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე (სინფორმაციო კუთხე) და განთავსდება დაწესებულების ვებგვერდზე;
12. სააპელაციო განაცხადის არსებობის შემთხვევაში საკონკურსო კომისია განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დასკვნით სხდომაზე;
13. საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომა გაიმართება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული თარიღის შესაბამისად და ეძღვნება კონკურსის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას;
14. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.

### **მუხლი 13. სააპელაციო კომისიის მუშაობის განრიგი**

1. სააპელაციო კომისიის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს კონკურსანტების განაცხადების მიღების დაწყებამდე. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება ბრძანებით დამტკიცებული კომისიის ყველა წევრი;
2. პირველ სხდომას ხსნის დაწესებულების რექტორი. იგი აცნობს სააპელაციო კომისიის წევრებს დამტკიცებულ შემადგენლობას და ტოვებს სხდომას;
3. სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხს წარმოადგენს სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არჩევა მათივე წევრებიდან. თავმჯდომარის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
4. კომისიის თავმჯდომარე არჩევს თანავე ასახელებს კომისიის მდივნის კანდიდატურას. მდივნის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა (თუ მდივნობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, სახელდება კომისიის სხვა წევრი);
5. კომისიის მდივანი არჩევს თანავე ადგენს სხდომის მიმდინარეობის ამსახველ ოქმს;
6. მდივანი ვალდებულია სხდომის მიმდინარეობის დროს შეადგინოს ოქმი, გააცნოს მისი შინაარსი სხდომის მონაწილეებს;

7. კომისიის მუშაობის პროცესში თავმჯდომარე კომისიის წევრებს ავალებს საკონკურსო პროცედურებზე დაკვირვებას და დარღვევების შემთხვევაში სააპელაციო კომისიის ინფორმირებას მისი შემდგომი რეაგირებისათვის;
8. სააპელაციო განაცხადის არსებობის შემთხვევაში სააპელაციო კომისია განიხილავს შემოსულ განცხადება/საჩივრებს, იღებს გადაწყვეტილებას და წარუდგენს საკონკურსო კომისიას;
9. მიღებული გადაწყვეტილება აისახება სააპელაციო კომისიის სხდომის ოქმში.

#### **მუხლი 14. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრება**

1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსში მონაწილე კონკურსანტს ან საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს დარღვევის შემთხვევაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი სააპელაციო კომისიაში;
2. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დარღვევების შემთხვევაში დაუყოვნებლივ (ერთი დღის ვადაში) შეიტანოს განცხადება/საჩივარი სააპელაციო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება;
3. კონკურსანტი უფლებამოსილია დარღვევის ან/და მისთვის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი სააპელაციო კომისიის სახელზე კანცელარიისა და კადრების განყოფილებაში, რომელიც რეგისტრირებული იქნება სააპელაციო განაცხადება/საჩივრის ჟურნალში და დაუყოვნებლივ განასახილველად გადაეცემა სააპელაციო კომისიას;
4. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
  - ა) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
  - ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;
  - გ) დარღვევის შინაარსი;
  - დ) მოწმეების ვინაობა (არსებობის შემთხვევაში);
  - ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
  - ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.
5. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი (არსებობის შემთხვევაში).
4. სააპელაციო კომისია ვალდებულია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად (ვადების დარღვევის შემთხვევაში) დატოვების შესახებ;
5. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას სააპელაციო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგებზე.

#### **მუხლი 15. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება**

1. საკონკურსო კომისია კონკურსის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს თითოეულ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა;



2. კონკურსში გასულ პირთა სია, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის მითითებით გამოიკვრება დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე (სინფორმაციო კუთხე) და განთავსდება დაწესებულების ვებგვერდზე.

**მუხლი 16. აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა**

1. საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული პირების შესახებ;
2. აკადემიურ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვით.

**მუხლი 17. დასკვნითი დებულება**

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეუძლია აკადემიის რექტორს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.